




**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029
წლების პრიორიტეტების დოკუმენტი**

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.....	3
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	7
შემოსულობები 2024-2029 წლებში.....	8
გადასახდელები 2026-2029 წლებში.....	9
2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები.....	11
2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები.....	15
თავი III. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და	
პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.....	16
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.....	16
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	17
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	30
განათლება.....	32
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	35
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	49

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილო–აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო–დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის

მუნიციპალიტეტები, სამხრეთ-დასავლეთიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი(იმერეთის რეგიონი), სამხრეთიდან-ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები(იმერეთის რეგიონი). ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1142 კვ.კმ -ია, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 720 მ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კლიმატი გარდამავალია ზომიერსა და ნოტიო სუბტროპიკულს შორის. დაბალმთიანეთში ზომიერად ცივ ზამთრიანი და შედარებით ცხელ ზაფხულიანი ჰავის ტიპია გაბატონებული, მაღალმთიანი ზონისათვის კი უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 9 - 10 °C (დაბალ ზონაში), ზოგან კი - 4 -5°C(მთიანეთში). მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილში იანვრის საშუალო ტემპერატურაა - 1,5 - 4°C - ია, ივლისისა კი 18 - 24 °C ფარგლებში მერყეობს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000 - 1500 მმ-ია. მთებში ეს პარამეტრი 1600 - 1800 მმ-ს აღწევს.ძირითადად გავრცელებულია დასავლეთის მიმართულების ქარი, ქარის საშუალო სიჩქარეწელიწადში10 -15 კმ/სთ.



რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე



ძირითად სიმდიდრეს მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს ტყეები. მისი ფართობია 76859 ჰა, აქედან ტყით დაფარულია74530 ჰა, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 65.3% -ია. აქ ტყეები უმთავრესად შერეული ხასიათისაა. გავრცელებულია კოლხური ტიპის ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის სიმდიდრით. ფოთლოვანი ჯიშებიდან გავრცელებულია: მუხა, რცხილა, ცაცხვი, ვერხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, უთხოვარი, იფანი, წიწვოვანიდან: სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და სხვა.ტყეებს აქ უმთავრესად სოციალური მნიშვნელობა აქვს. ისინი ასრულებენ ნიადაგდაცვით წყალმარეგულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს, აგრეთვე იცავენ დასახლებულ ადგილებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ღვარცოფებისა და ზვავებისაგან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროლოგიურად. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან - ფასის მთიდან, რიონის შენაკადებია კრიხულა, ზნაკურა, შარეულა, ლუხუნი, რიცეულა, ასკი.

შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია. იგი ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ გაშენებულია უნიკალური ჯიშისტყეები.



მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბროლაური. მანძილი ქ. თბილისსა და ქ. ამბროლაურს შორის 280 კმ – ია, ხოლო მანძილი უახლოეს რკინიგზის სადგურამდე კი 35 კმ (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ქ. ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი.

ცხრილი N 1. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებები

	ადმინისტრაციული ორგანო	სოფელი
1	ბუგეულის თემი	აბანოეთი
		ბარეული
		ბუგეული
		გორისუბანი
		ქედისუბანი
		ჯვარისა
2	ველევის თემი	ბეთლევი
		ველევი
		კვირიკენმინდა
		შხივანა
3	ზნაკვის თემი	ზნაკვა
		მოტყიარი
		საკეცია
4	ინის თემი	ახალსოფელი
		გორი
		ინა
		ქვემო კრიხი
		შუა კრიხი

		ზემო კრიხი
5	ლიხეთის თემი	აბარი
		ლიხეთი
		ურავი
6	ნამანევის თემი	თხმორი
		ნამანევი
		შავრა
7	ნიკორწმინდის თემი	ხონჭიორი
		კაჩაეთი
		ნიკორწმინდა
8	სადმელის თემი	ხარისთვალი
		ბოსტანა
		კლდისუბანი
9	სხვავის თემი	სადმელი
		ღვიარა
		ძირაგეული
10	ლაღიშის თემი	სხვავა
		ფუტიეთი
		ლაღიში
11	ცახის თემი	ბაჯი
		პატარაონი
		ტბეთი
12	წესის თემი	ქვედა შავრა
		ცახი
		ქვედა ღვარდია
13	ჭელიაღელის თემი	გოგოლათი
		ბედა ღვარდია
		წესი
14	ჭრებალოს თემი	მუხლი
15	ჭყვიშის თემი	აგარა
		ბედა თლული
		უყეში
16	ხვანჭკარის თემი	ქვედა თლული
		ჭელიაღელე
		ზემო ჟოშხა
17	სხვადასხვა	ქვემო ჟოშხა
		ჭრებალო
		გენდუში
18	სხვადასხვა	ბედა ჭყვიში
		ქვიშარი
		ჭყვიში
19	სხვადასხვა	დიდი ჩორჯო
		პატარა ჩორჯო
		მეორე ტოლა
20	სხვადასხვა	პირველი ტოლა
		ხვანჭკარა

17	ხიდიკარის თემი	კვაცხუთი
		ხიმში
18	ხოტევის თემი	სხარტალი
		წკადისი
		ხოტევი

2024 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 10.3 ათას ადამიანს. მათ შორის, ქ. ამბროლაურში ცხოვრობს 1.9, ხოლო სასოფლო დასახლებებში 8.3 მოსახლე. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 51,5% ქალია, ხოლო - 48,5% მამაკაცი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ინფორმაციით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღებთა რაოდენობა - 3543. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა - 4621. შებღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა - 419. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა რაოდენობა - 8476 ადამიანი.

თავი II. ძირითდი ფინანსური მაჩვენებლები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი მიზანია შექმნილი გამოწვევების ეფექტური დაძლევა, ეკონომიკის განვითარება, თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა – აქტიურად გაგრძელება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობის გაუმჯობესებას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2005 წლის 2 ოქტომბრის N04-03/69781 და შემდგომ 2025 წლის 1 დეკემბრის N 04-03/84795 წერილებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აცნობა 2026-2029 წლების საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი პარამეტრები. ამ

პარამეტრების მხედველობაში მიღებით მომზადდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების პროგნოზი. პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალური ხელისუფლების მიერ.

ბიუჯეტის ბალანსი 2024-2029 წლებში

დასახელება	2024 ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
I. შემოსავლები	26,993.8	29,226.5	18,961.3	18,978.8	20,141.5	21,389.9
გადასახადები	12,685.5	14,366.6	15,409.0	16,668.4	17,983.2	19,409.8
გრანტები	13,351.3	13,648.4	2,555.3	1,129.4	977.3	849.1
სხვა შემოსავლები	957.1	1,211.5	997.0	1,181.0	1,181.0	1,131.0
II. ხარჯები	15,001.0	17,810.2	18,342.1	18,474.0	18,717.9	18,944.4
შრომის ანაზღაურება	3,670.5	3,972.5	4,663.4	4,665.8	4,665.8	4,665.8
საქონელი და მომსახურება	2,996.2	3,056.4	2,364.3	2,394.6	2,410.6	2,454.6
პროცენტი	21.2	16.6	5.4	-	-	-
სუბსიდიები	6,961.2	9,031.7	9,653.8	9,634.2	9,703.5	9,782.5
სოციალური უზრუნველყოფა	847.1	998.1	1,040.1	1,091.0	1,170.0	1,237.0
სხვა ხარჯები	504.8	734.9	615.1	688.4	768.0	804.5
III. საოპერაციო სალდო	11,992.8	11,416.3	619.2	504.8	1,423.6	2,445.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,196.9	11,728.1	564.2	504.8	1,423.6	2,445.5
ზრდა	15,748.8	12,697.0	964.2	1,315.0	1,906.0	2,665.5
კლება	2,551.9	968.9	400.0	810.2	482.4	220.0
V. მთლიანი სალდო	- 1,204.1	- 311.7	55.0	810.2	482.4	220.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,311.8	- 419.5	-	-	-	-
კლება	1,311.8	419.5	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	1,311.8	419.5	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 107.8	- 107.8	- 55.0	-	-	-
კლება	107.8	107.8	55.0	-	-	-
საშინაო	107.8	107.8	55.0	-	-	-
სესხები	107.8	107.8	55.0	-	-	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	-	-

დასახელება	2024 ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
						0.0

შემოსულობები 2024-2029 წლებში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2024-2029 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება:

დასახელება	2024 ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
შემოსულობები სულ	30,857.6	30,614.9	19,361.3	19,789.0	20,623.9	21,609.9
შემოსავლები	26,993.8	29,226.5	18,961.3	18,978.8	20,141.5	21,389.9
გადასახადები	12,685.5	14,366.6	15,409.0	16,668.4	17,983.2	19,409.8
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11,524.8	13,266.6	14,209.0	15,468.4	16,783.2	18,209.8
ქონების გადასახადი	1,160.6	1,100.0	1,200.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
გრანტები	13,351.3	13,648.4	2,555.3	1,129.4	977.3	849.1
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,351.3	13,648.4	2,555.3	1,129.4	977.3	849.1
მიზნობრივი ტრანსფერი	723.2	630.1	246.5	246.5	246.5	246.5
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	12,628.1	13,018.3	2,308.8	882.9	730.8	602.6
სხვა შემოსავლები	957.1	1,211.5	997.0	1,181.0	1,181.0	1,131.0
არაფინანსური აქტივების კლება	2,551.9	968.9	400.0	810.2	482.4	220.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	1,311.8	419.5	-	-	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)	-	-	-	-	-	-

უნდა აღინიშნოს, რომ 2026-2029 წლების პარამეტრები 2025 წლის გეგმასთან შედარებით შემცირებულია. შემცირება უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ ტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. შემოსულობების ნაწილში ტრანსფერი ასახულია მხოლოდ ნაწილობრივ და პრიორიტეტების დოკუმენტში (ასევე, 2026 წლის ბიუჯეტში) კაპიტალური ტრანსფერის მოცულობა სრულად ასახული იქნება მას შემდგომ რაც საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება საბიუჯეტო ნაშთს - მისი პროგნოზირება და არსებობის შემთხვევაში 2026 წლის ბიუჯეტში ასახვა შესაძლებელი იქნება 2025 წლის ბოლოს.

გადასახდელები 2026-2029 წლებში

2026 წლისთვის, ისევე როგორც წინა წლებში განისაზღვრა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი ;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

ათასი ლარი

დასახელება	2024 ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
გადასახდელები სული	30,857.6	30,614.9	19,361.3	19,789.0	20,623.9	21,609.9
ინფრასტრუქტურის განვითარება	16,371.7	14,788.9	3,010.0	3,414.0	3,464.0	4,144.0
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,397.6	1,707.6	1,755.6	1,753.6	2,313.6	2,432.1
განათლება	2,326.9	2,933.6	2,746.0	2,734.0	2,734.0	2,734.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4,067.6	4,183.0	4,247.0	4,221.1	4,302.4	4,372.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,112.7	1,555.6	1,500.6	1,555.0	1,689.0	1,787.0
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,581.2	5,446.3	6,102.1	6,111.3	6,120.9	6,140.4

ანალოგიურად შემოსულობებისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების ბიუჯეტის პარამეტრები არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. შესაბამისად საპროგნოზო წლების პარამეტრები ნაკლებია მიმდინარე და გასული წლების მაჩვენებლებზე. მას შემდეგ რაც გამოყოფილი იქნება შესაბამისი კაპიტალური ტრანსფერი 2026-2029 წლის გადასახდელების მოცულობა გაუტოლდება/მეტი იქნება გასული და მიმდინარე წლების მაჩვენებლებზე.

ისევე როგორც გასულ წლებში 2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. 2025 წლის

ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 46.8%-ია.

სახელმწიფო მიერ გაცხადებული საჯარო მოსამსახურეების სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში 2025 წელს განხორციელდა ხელფასების 10%-ით მატება. ხელფასების 10%-იანი მატება გათვალისწინებულია შემდგომ 2026-2029 წლებშიც. აღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტში გაზრდილია შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების და ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების მუხლი.

თუ არ ჩავთვლით კაპიტალურ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერთან, სტაბილურად იზრდება ბიუჯეტის ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. მათ შორისაა: დასუფთავება და გარემოს დაცვა, სკოლამდელი დაწესებულებები, კულტურული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები.

2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის შემოსულობები

საგადასახადო შემოსავლების შესრულება 2024 წელს:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	11264,9	11524,8	94
ქონების გადასახადი	1000,0	1160,6	116
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	880,0	1005,4	114
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	7,7	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	23,2	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	40,0	44,1	110
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	80,0	80,2	100
გადასახადები სულ	12264,9	12685,4	103

გრანტების (ტრანსფერების) შესრულება 2024 წელს:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
------------	-------	-------	----------

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	15,3	15,3	100
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	57 4,6	57 3,2	100
სპეციალური ტრანსფერი	15 0,0	15 0,0	100
კაპიტალური ტრანსფერი (მათ შორის სოფლის მხარდამჭერის პროგრამა (734 000) და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო (2500000))	12 64 4,4	12 61 2,8	99,8
სულ	133 84,3	133 85,1	99,8

სხვა შემოსავლების შესრულება 2024 წელს:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
სხვა შემოსავლები სულ	1386,0	957,1	69
შემოსავლები საკუთრებიდან	859,0	532,6	62
პროცენტები	150,0	99,2	66
რენტა	709,0	433,4	61
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	257,0	231,3	90
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	222,0	185,2	83
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	93,3	85
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,0	-	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	110,0	91,9	84
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	35,0	46,1	132
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	210,0	130,8	62
ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	60,0	62,4	104

არაფინანსური აქტივების კლების შესრულება 2024 წელს:

დასახელება	გეგმა (ათასი ლარი)	ფაქტი (ათასი ლარი)	პროცენტი
ძირითადი აქტივები	697,9	814,8	117
მინა	2136,4	1737,1	81
სულ არაფინანსური აქტივების კლება	2136,4	1737,1	81

2024 წლის გადასახდელები

2024 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5574,6	5473,4	98
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5553,4	5452,3	98
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5553,4	5452,3	98
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,57		
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	21,2	21,2	100
7.2	თავდაცვა			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	12417,4	12052,5	97
7.4 5	ტრანსპორტი	7734,8	7702,6	100
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7734,8	7702,6	100
7.5	გარემოს დაცვა	2029,6	2009,9	99
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1558,6	155,9	100
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3302,4	3257,5	99
7.6.1	ბინათმშენებლობა	8682,8	8682,0	100
7.6 3	წყალმომარაგება	932,5	915,3	98

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	პროცენტი
7.6 4	გარე განათება	466,2	466,1	100
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1895,0	1867,4	99
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	493,8	434,6	88
7.7.2	ამბულატორიული მომსახურება	314,8	300,5	95
7.7.2.1	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	47,9	46,5	97
7.7.2.4	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	266,8	253,9	95
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	179,0	134,1	75
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4144,0	4067,6	98
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1665,5	1627,2	98
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2212,0	2181,1	99
7.8 3	ტელერადიომუნიკაციები და საგამომცემლო საქმიანობა	216,4	209,3	97
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	50,0	100
7.9	განათლება	2341,2	2326,9	99
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1707,2	1699,1	100
7.9 2	ზოგადი განათლება	55,4	52,2	94
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	55,4	52,2	94
7.9.6	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	578,6	575,6	99
7. 10	სოციალური დაცვა	1204,5	1127,4	94
7. 10. 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	58,5	58,5	100
7. 10. 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1146,0	1068,9	93
	სულ	31507,5	30749,9	98

2024 წლის გადასახდელების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით:

პროგ. კოდი	დასახელება	2024 ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	30857,6	98

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5581,2	17
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	16371,7	53
04 00	განათლება	1397,6	4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2326,9	7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4067,6	13



2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები

შემოსულობები - 2025 წლის 9 თვე

შემოსულობები შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 25859,6 ათ. ლარი, შემოსულია 21537,4 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. შემოსავლები შესრულებულია 84 %-ით. გეგმიური 25351,4 ათ. ლარი, შემოსულია 21221,4 ათ.ლარი. აქედან:

გადასახადები შესრულებულია 93 % -ით. გეგმიური 11732.9 ათ. ლარი, შემოსულია 10859,7 ათ.ლარი.

მათ შორის:

✓ გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე შესრულებულია 90 %. გეგმიური 10752,9 ათ.ლარი, შემოსავალი არის 9625,5 ათ ლარი. (დამატებითი ღირებულების გადასახადი).

გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან შესრულებულია 77 %-ით. გეგმიური 12786,4 ათ. ლარიდან, ათვისებულია 9813,8 ათ. ლარი. აქედან:

2. არაფინანსური აქტივების კლება შესრულებულია 62 %-ით. ნაცვლად გეგმიური 508,1 ათ. ლარისა, შემოსულია 316,0 ათ. ლარი.

➤ „მანქანა დანადგარები და ინვენტარი“ შემოსულია 8,4 ათ. ლარი;

➤ „მინა“ შემოსულია 307,6 ათ. ლარი;

გადასახდელები - 2025 წლის 9 თვე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 81%-ით. გეგმა 26452,0 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 21518,5 ათ.ლარი. ხარჯები ათვისებულია 90 %-ით. გეგმიური 14278,4 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 12901,4 ათ.ლარს. მათ შორის:

დასახელება	გეგმა	ხარჯი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	3060,0	2952,5	96
საქონელი და მომსახურება	2473,5	2096,9	85
პროცენტი	7,0	6,9	99
სუბსიდია	7210,6	6668,8	92
სოციალური უზრუნველყოფა	825,7	700,1	85
სხვა ხარჯები	701,5	476,0	68
არაფინანსური აქტივების ზრდა	12118,5	8563,1	71

თავი III. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,581.2	5,446.3	6,113.1	5,998.1	5,998.1	6,007.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,452.2	5,319.4	5,943.7	5,958.1	5,953.1	5,957.1
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,148.2	1,284.7	1,525.0	1,536.0	1,551.0	1,555.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,304.0	4,034.6	4,418.7	4,422.1	4,402.1	4,402.1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	128.9	126.9	169.4	-	45.0	50.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	2.5	2.5	40.0	45.0	50.0
01 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების	128.9	124.4	139.4	0.0	0.0	0.0

03	მომსახურება და დაფარვა						
----	------------------------	--	--	--	--	--	--

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება, საფინანსო სისტემის მონესრიგების ღონისძიებები პრიორიტეტში შემავალი პროგრამების:

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შედეგი მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება.

საფინანსო სისტემაში მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ეფექტური ინტეგრირება და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები მერიის სისტემაში მოქნილი და ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3,010.0	3,414.0	3,464.0	4,144.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	597.0	900.0	950.0	1,100.0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	317.0	600.0	600.0	700.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	280.0	300.0	350.0	400.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	852.0	869.0	869.0	879.0
02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	802.0	819.0	819.0	829.0
02 02 01 01	წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი	130.0	150.0	150.0	160.0

02 02 01 02	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	672.0	669.0	669.0	669.0
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	50.0	50.0	50.0	50.0
02 03	გარე განათება	749.0	775.0	775.0	795.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	745.0	775.0	775.0	795.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	420.0	450.0	450.0	470.0
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	325.0	325.0	325.0	325.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდები გარე განათების სფეროში	4.0	-	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	50.0	80.0	80.0	100.0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	30.0	50.0	50.0	70.0
02 09	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	420.0	425.0	425.0	435.0
02 10	სატრანსპორტო მომსახურება	312.0	315.0	315.0	765.0

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			597.0	900.0	950.0	1,100.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური				
პროგრამის აღწერა		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 50% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.				

	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა: - გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება; - გზების კაპიტალური შეკეთება; გზების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 350000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; გზების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 01			31 7.0	600. 0	600. 0	700. 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური				

ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. „ორმულ შეკეთებას“); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 350 000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების კაპიტალური შეკეთება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			280.0	30.0	350.0	400.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მონაცემების და ინფრასტრუქტურის სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ქვეპროგრამით ძირითადად განხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მალამთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზების შემდომ, დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: • სოფელ ბოსტანაში საუბნო გზის რეაბილიტაცია; • ქალაქ ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას, ბრატისლავა რაჭის ქუჩის ჩიხების და პატარა ბაბრის შიდა გზის და გამსახურდიას ქუჩის ჩიხების რეაბილიტაცია; • სოფელ ძირაგეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფ: ნიკორწმინდაში ჯმუხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია; • სოფელ სადმელში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაცია;					

	• სოფელ წესში საუბნო გზების სარეაბილიტაცია; • სოფელ აგარისა და უყეშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ ზნაკვაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ ლიხეთში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია; • სოფლების ქვედა თლულის და ზედა თლულის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფლების ბუგეული-აბანოეთი- ბარეული-გაღმა ბარეულის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ სადმელში ე.წ სოსაურის ახალი დასახლების და ზედა ოშხერლების საუბნო გზების რეაბილიტაცია; • სოფელ ხოტევეში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია; • სოფელ მეორე ტოლის გზის რეაბილიტაცია; • სოფელ სხვაკაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ ღვიარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ გორის სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ ბუგეულში (ზედა უბანი) სასოფლო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ პირველ ტოლაში საუბნო გზის რეაბილიტაცია; • სოფელ ლიხეთში მეჭვრეთის ნმინდა გიორგის სალოცავამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; • ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. გარდა აღნიშნული პროექტებისა 2026 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კოდი	პროგრამის	წელის სისტემების	2026 წლის	2027 წლის	2028 წლის	2029 წლის
------	-----------	------------------	-----------	-----------	-----------	-----------

	დასახელება	განვითარება	დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება ათას ლარში
02 02			852.0	869.0	869.0	879.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“;					
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამისაგან: - წყლის სისტემების რეაბილიტაცია; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია; -წყლის სისტემების მოერ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი; -ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“; წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები.					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე; მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია					

კოდი	პროგრამა	წყლის სისტემების	2026	2027	2028	2029
------	----------	------------------	------	------	------	------

	ს დასახელება	ექსპლოატაცია	წლის დაფინანსება ათას ლარში	წლის დაფინანსება ათას ლარში	წლის დაფინანსება ათას ლარში	წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01			802.0	819.0	819.0	829.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“;				
პროგრამის აღწერა		წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამონცვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია			

კოდი	პროგრამის ს დასახელება	წყლის სისტემების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01 01			130.0	150.0	150.0	160.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		საფინანსო სამსახური				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში არსებული წყლის ყველა სატუმბო მოწყობილობების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია			

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01 02			672.0	669.0	669.0	669.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია			

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			50.0	50.0	50.0	50.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან.				

	გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სასმელი წყლის უწყვეტი 24 საათიანი მიწოდება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			745.0	775.0	775.0	795.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა		დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 68 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაახლოებით 6500 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის, ქ. ამბროლაურში 1500 და სოფლებში 5000 წერტილი. გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; - გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა; გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (5850 სანათი) წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.				

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ლამის საათებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01 01			420.0	450.0	450.0	470.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა		დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 68 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაახლოებით 6500 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის, ქ. ამბროლაურში 1500 და სოფლებში 5000 წერტილი. გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; - გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა; გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (5850 სანათი) წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ლამის საათებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;				
გაეროს მდგრადი განვითარების		მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია				

მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
--	--

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01 02			325.0	325.0	325.0	325.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა		დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 68 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაახლოებით 6500 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის, ქ. ამბროლაურში 1500 და სოფლებში 5000 წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად. გამართული გარე განათების სისტემა.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები			

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06			50.0	80.0	80.0	100.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური				
პროგრამის		ქვეპროგრამის პროგრამა ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე				

აღწერა	ბალების, სკვერების მოვლა-პატრონობას და სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება; კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07						
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		საფინანსო სამსახური				
პროგრამის აღწერა		სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით: ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი; გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი; დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი. დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით: ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი; ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა; გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა. თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28				

	დეკემბრის N654 დადგენილებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

კოდი	პროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 08			30.0	50.0	50.0	70.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური				
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში 2026-2029 წლების განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, პროექტები განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები				

კოდი	პროგრამის დასახელება	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 09			420.0	425.0	425.0	435.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური				

პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს. პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული და კვალიფიციური მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მანანნალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,755.6	1,753.6	2,313.6	2,432.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,534.0	1,532.0	1,532.0	1,542.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	171.6	171.6	171.6	171.6
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	40.0	40.0	600.0	708.5

03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	10.0	10.0	10.0	10.0
-------	--	------	------	------	------

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
0301			1,534.0	1,532.0	1,532.0	1,542.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 5 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ამბროლაურიდან და მუნიციპალიტეტის 67 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქვაბტკრის ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 736 ერთეულს მათ შორის 174 განთავსებულია ქ. ამბროლაურში და 562 - მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 60 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 71150 მ² ქუჩების, 15985 მ² ტროტუარების, 19243 მ² სკვერების და 6555 მ² გაზონების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის (მეგობრები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეულ იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივ ტუალეტებში დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება				

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			171.6	171.6	171.6	171.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შენამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყეების მოვლა-პატრონობა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 9 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ-ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და მოვლითი სამუშაოები.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები			

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი			
		2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
04 00	განათლება	2,746.0	2,734.0	2,734.0	2,734.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2,319.0	2,307.0	2,307.0	2,307.0
04 03	განათლების ღონისძიებები	70.0	70.0	70.0	70.0
04 04	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი	357.0	357.0	357.0	357.0

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
0401			2,319.0	2,307.0	2,307.0	2,307.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“				
პროგრამის აღწერა		საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 280-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავშვებსა და ადმინისტრაციისთვის ჯამში დასაქმებულია 181 თანამშრომელი.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის			

კოდი	პროგრამის დასახელება	განათლების ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში

04 03			70.0	70.0	70.0	70.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 70001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; განხორციელდება ბანაკში დასვენების პროგრამა; პროგრამის ფარგლებში, ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტები და საგანმანათლებლო აქტივობები.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის განხორციელება: - ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. - პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, დაეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა			მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის			

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 04			357.0	357.0	357.0	357.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“				
პროგრამის აღწერა		პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ ბაზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგნობრივი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებები. 2025 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამისი განათლებას იღებს საშუალოდ 80 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია 27 შტატიანი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და მოზარდთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. პროფილური/საგნობრივი წრეების ხელშეწყობა და მოსწავლე-				

	ახალგაზრდებისთვის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათასი ლარი

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4,247.0	4,221.1	4,302.4	4,372.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,760.1	1,735.0	1,762.0	1,787.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,758.5	1,733.0	1,759.0	1,783.0
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	683.0	679.0	679.0	679.0
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	409.0	410.0	415.0	420.0
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	236.0	234.0	242.0	246.0
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	330.5	310.0	313.0	318.0
05 01 01 05	ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“	100.0	100.0	100.0	110.0
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	1.6	2.0	3.0	4.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,445.9	2,441.1	2,485.4	2,525.4
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,954.6	1,986.4	2,016.4	2,041.4

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროექტი	2029 წლის პროექტი
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	1,372.4	1,393.4	1,393.4	1,393.4
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	299.3	320.0	335.0	345.0
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უნა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	158.0	153.0	163.0	173.0
05 02 01 04	ა(ა)იპ მუზეუმის ხელშეწყობა	124.9	120.0	125.0	130.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	119.6	125.0	131.0	136.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	90.0	50.0	50.0	50.0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	17.0	15.0	15.0	15.0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	264.7	264.7	273.0	283.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	41.0	45.0	55.0	60.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			1,758.5	1,733.0	1,759.0	1,783.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““; ა(ა)იპ რაჭა- ლენხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“				
	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია: - ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; - ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაგი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოხიანი ჭიდაობა (სამბო-ძიუდო). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 200 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან				

	სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 63 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 600 ადამიანი. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი. საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 01			683.0	679.0	679.0	679.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი; ჭადრაკი; რაგბი; კარატე; მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი ჩოხოსანთა ჭიდაობა. სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 200 ბავშვი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 46 ადამიანი, მათ შორის, 29 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 17 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;				

	- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 02			409.0	410.0	415.0	420.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“. გამოყოფილი თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ჭიდაობის განვითარებას. კლუბში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 63 ბავშვი. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებები და სხვა ხარჯები.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვა ჭიდაობაში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ჭიდაობით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა				

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 03			236.0	234.0	242.0	246.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“. აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 600 ადამიანი. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 16 ადამიანი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ პერსონალს.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; 6 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქის მაქსიმალური ჩართულობა ცურვის შესწავლა-დაოსტატებაში; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათში ცურვისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე აუზით მომსახურეთა გაზრდილი რაოდენობა.				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა				

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 04			330.5	310.0	313.0	318.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			1,954.6	1,986.4	2,016.4	2,041.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.					
პროგრამის აღწერა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებული გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 4 მუნიციპალური ა(ა)იპ-					

	ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იანვანა“. 2023 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. როგორც ადგილობრივი, ასევე გასვლითი ღონისძიებები. ანსამბლების „იანვანა“, „საგალობელი“, ჯგუფი 'art new life'-ის სოლო კონცერტები. დაგეგმილია თოჯინების თეატრის ორი პრემიერა და სახალხო თეატრის ორი პრემიერა. სპექტაკლების ჩვენება როგორც ადგილობრივად, ასევე სხვადასხვა რეგიონებში. მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 80451 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 3000 მოსახლე. 2025 წელს ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ჩატარდება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიება. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურულ იმემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტოფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი საგალობელი და ფოლკლორული ანსამბლი იანვანა მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში. ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო განათლების სკოლა. სახელოვნებო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, ხალხური საკრავების და გიტარის, საესტრადო ვოკალის, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების, კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების მიმართულებები. სახელოვნებო სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 321 ბავშვი. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 85 ბავშვი.
--	--

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა; სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა, სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 01			1,372.4	1,393.4	1,393.4	1,393.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იანვანა“. 2026 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება როგორც ადგილობრივი, ასევე გავსვითი ღონისძიებები. ანსამბლების „იანვანა“, „საგალობელი“, ჯგუფი 'art new life"-ის სოლო კონცერტები. დაგეგმილია თოჯინების თეატრის ორი პრემიერა და სახალხო თეატრის ორი პრემიერა.სპექტაკლების ჩვენება როგორც ადგილობრივად, ასევე სხვადასხვა რეგიონებში. მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 80451 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის				

	დაახლოებით 3000 მოსახლე. 2025 წელს ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ჩატარდება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიება. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტოფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი საგალობელი და ფოლკლორული ანსამბლი იანვრანა მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 02			299.3	320.0	335.0	345.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სახელოვნებო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (20 მოსწავლე), ხალხური საკრავების და გიტარის (60 მოსწავლე), საგუნდო და საესტრადო ვოკალის (40 მოსწავლე), ქართული ხალხური სიმღერების (14 მოსწავლე), კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების (187 მოსწავლე) მიმართულებები. სახელოვნებო სკოლაში სახელოვნებო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 321 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 16				

	თანამშრომელს.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სახელოვნებო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს, ხალხური საკრავების, საესტრადო სიმღერების, ქართული და თანამედროვე კლასიკური ცეკვების შესწავლა ბავშვებსა და მოზარდებში. მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული, ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დანაშებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			158.0	153.0	163.0	173.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“				
ქვეპროგრამის აღწერა		სქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 85 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 13 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები: თეატრ-კერვა, ტიხრული მინანქარი, ხალიჩა-ფარდაგი, ხატვნა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო ღონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში	2028 წლის დაფინანსება ათას ლარში	2029 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 04			124.9	120.0	125.0	130.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმი. მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 872 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 600-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე), ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.				
